

Beihilfe

Im **deutschen Strafrecht** das vorsätzliche Hilfeleisten zu einer von einem anderen begangenen vorsätzlichen und rechtswidrigen – aber nicht notwendigerweise schuldhaft – begangenen Tat (§ 27 dStGB). Im **georgischen Recht** ist der Gehilfe „derjenige, der zu einer Straftat Hilfe geleistet hat“ (Art. 24 Abs. 3 gStGB, wobei die Beihilfe nach Art. 23 gStGB ebenfalls nur vorsätzlich geleistet werden kann und sich auf eine vorsätzliche Haupttat beziehen muss). Nach beiden Rechtsordnungen kann die Beihilfe sowohl physisch (durch Besorgen der Mordwaffe), als auch psychisch (durch die Bestärkung des Tatentschlusses, einen Ratschlag oder ein Anfeuern des Täters) geleistet werden. Dabei muss der Haupttäter keine Kenntnis von der Hilfeleistung haben. Es ist aber in beiden Rechtsordnungen umstritten, ob die Hilfeleistung kausal für die Haupttat sein muss oder ob eine bloße Förderung ausreicht. Die Beihilfe muss ferner akzessorisch zur Haupttat sein. Während im deutschen Recht eine schuldhafte Haupttat nicht erforderlich ist (limitierte Akzessorietät), findet sich diese Einschränkung im georgischen Recht nicht (wird hier aber diskutiert). Der Versuch der Beihilfe ist – im Gegensatz zum Versuch der Anstiftung – in beiden Rechtsordnungen straflos (arg. § 30 Abs. 1 dStGB, Art. 25 Abs. 7 S. 2 gStGB). Nach deutschem Recht ist die Beihilfe obligatorisch milder zu bestrafen als die Haupttat (§ 27 Abs. 2 S. 2 dStGB). Nach georgischem Recht findet hingegen lediglich eine fakultative Strafmilderung statt (Art. 25 Abs. 1, Art. 57 Abs. 1 gStGB). (Bhe/Kmt)

დახმარება

გერმანულ სისხლის სამართალში განზრახი დახმარება სხვის მიერ განზრახ და მართლსაწინააღმდეგო – მაგრამ არა აუცილებლად ბრალეულად – ჩადენილ ქმედებაში (გსსკ-ის 27-ე პარაგრაფი). **ქართულ სამართალში** დამხმარეა „ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას“ (სსსკ-ის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილი; ამასთან, ხელის შეწყობა სსსკ-ის 23-ე მუხლის მიხედვით, ასევე მხოლოდ განზრახ შეიძლება იქნას ჩადენილი და ამსრულებლის მიერ განზრახ ჩადენილ დანაშაულს უნდა უკავშირდებოდეს). სამართლის ორივე სისტემის მიხედვით, დახმარება შეიძლება განხორციელდეს როგორც ფიზიკურად (მკვლელობის იარაღის მოპოვება), ასევე ფსიქიკურად (დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების განმტკიცებით, რჩევის ან ბიძგის მიცემით). გარდა ამისა, არაა საჭირო, რომ ამსრულებელმა იცოდეს ამ დახმარების შესახებ. ამასთან, სამართლის ორივე სისტემაში სადავოა, დახმარების გაწევა ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულთან მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს თუ ლიტონი ხელშეწყობაც საკმარისია. ამას გარდა, დახმარება აქცესორული უნდა იყოს ამსრულებლის მიერ ჩადენილი ქმედების მიმართ. მაშინ, როცა გერმანულ სამართალში საჭირო არაა ამსრულებლის მიერ ბრალეული ქმედების ჩადენა (ლიმიტირებული აქცესორობა), ამგვარი შეზღუდვა ქართულ სამართალში არ გვხვდება (თუმცა, აქაც მიმდინარეობს დისკუსია). დახმარების

მცდელობა, წაქეზების მცდელობისაგან განსხვავებით, სამართლის ორივე სისტემაში დაუსჯელია (არგუმენტი: გსსკ-ის 30-ე პარაგრაფის 1-ელი ნაწილი, სსსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილის მე-2 წინადადება). გერმანული სამართლის მიხედვით, დახმარება უფრო მსუბუქად უნდა დაისაჯოს, ვიდრე ამსრულებლის მიერ ჩადენილი ქმედება (გსსკ-ის 27-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება). ქართულ სამართალში კი სასჯელი მხოლოდ ფაკულტატიურად შემცირდება (სსსკ-ის 25-ე მუხლის 1-ელი ნაწილი, 57-ე მუხლის 1-ელი ნაწილი). (Bhe/Kmt)